საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ზურაბ გურასპაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ბადრი შონიას კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ბადრი შონიას საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

30 მაისი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის სამ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შესარჩევი კონკურსი, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე ბადრი შონია.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი ბადრი შონია შეესაბამება ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე მისი კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დადასტურებულად მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ბადრი შონია ასევე შეესაბამება ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით. კანდიდატ ბადრი შონიას თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე ჩემ მიერ მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 93 ქულა.

საბჭოს 2024 წლის 21 მაისის 1/23 განკარგულებით აღნიშნული პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა ბადრი შონია, გოჩა ჯეირანაშვილი და გიზო უბილავა.

ბადრი შონიას შეფასების შედეგების ანალიზისა და მასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მსარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობაზე ბადრი შონიას კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ბადრი შონიას კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - ყველა წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამმა შეადგინა 1392 ქულა, რაც მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1500) 92.80 პროცენტია.

2024 წლის 30 მაისს, მითითებულ კანდიდატებთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, მათი პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. მივიღე გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს ბადრი შონია, ვინაიდან შეფასებების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ მას გააჩნია ყველა აუცილებელი პიროვნული და პროფესიული თვისება, რათა სრულფასოვნად განახორციელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ზურაბ გურასპაშვილი